

ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის
N7 ბინაზე, მოქალაქე მერაბი მესხისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მერაბი მესხის წარმომადგენლის ამირან ხურციდის განცხადება /2012 წლის 12.11 Nგ/ხ-9204/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე მერაბი მესხის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მერაბი მესხს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაზე /საერთო ფართობი 31,50 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 31,50 კვ.მ, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი 19,38 კვ.მ./ მოქალაქე მერაბი მესხის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგვიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე